

საპარტეზლოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების
აპოზირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო
LELO Орган Союза спортивных обществ и организаций Гру-
зинской ССР и республиканского Совета профсоюзов

№ 220
(3197)

13

1966 წ.
ნოემბერი,
ჰვირა,
ფასი 3 კაპ.


გამოცემის
23-ე წელი

მეორე
გამარჯვება

ქართული
სპორტის
ტურნირები

ტურნისი, 11 ნოემბერი. ამ ქალ-
ქის ვარუზან ბარდოსი მორიგი მა-
ტი გამართა თბილისის „ბურვეს-
ტნიის“ კალათბურთულ ვაჭარ გუნ-
დმა. მან მოუგო ტურნისის ჩემპი-
ონს — ქალაქ რადესის კოლეჯ-
ტებს — 105:57 (51:24).

კალათბურთი



3,5:0,5

2:1

სურსკულ საი...

ქაქანა, 12 ნოემბერი, XVII საჭადრაკო ოლიმპია-
დის ფინალური ტურნირის VII ტურში საბჭოთა დიდოსტა-
ტები შეხვედნენ ისლანდიელებს. ყაიბით დასრულდა სპასკი-
ოლაფსონისა და პალმასონ-შტეინის შეხვედრები. საბჭოთა
დიდოსტატებისათვის უკეთეს პოზიციებში გადაიღო ტალ-
იოპანსონისა და პოლუგავესკი-გუნარსონის პარტიები. აი,
სხვა პარტიების შედეგები: ჩეხოსლოვაკია-იუგოსლავია 2:1
(1 პარტია გადადებულია), აშშ-ნორვეგია 3:1, დანია —
გერ 2,5:1,5 რუმინეთი — ესპანეთი 2:2, უნგრეთი — კუბა
2:0 (2), არგენტინა-ბულგარეთი 1,5:0,5 (2). გადადებული
პარტიების დამთავრებისას სსრ კავშირმა მოუგო ესპანე-

ლებს — 3,5:0,5. პეტროსიანმა დაამარცხა პომარი, კორმ-
ნომ — კალგო, სოლო სპასკი — მელინას შეხვედრა ყაიბით
დამთავრდა.

ბრიუსელი, 12 ნოემბერი. აქ გამართა ევროპის
საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. ერთმანეთს შეხ-
ვედნენ ბელგიისა და საფრანგეთის ნაკრები გუნდები. გაიმარჯ-
ვეს მასპინძლებმა — 2:1. ბრწყინვალედ ითამაშა ბელგიელ-
თა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ვან პისსტამ, რომელმაც
შესვენების შემდეგ ფრანგების კარში 2 გოლი გაიტანა. ეს
მატჩი მესამე იყო VII რგოლში. ასლა აქ თითო მოგება
აქვთ ბელგიელებს, პოლონელებსა და ფრანგებს.

თბილისში ამას წინათ გამართა
საქართველოსა და ლატვიის მძლე-
ოსანთა მატჩი.

სურათებზე: მარცხნივ — სი-
მალეზე ხტება ი. ეიხმანე; მარჯ-
ვნივ — ი. ლიჩკოვი (წინა პლანზე)
110 მეტრზე თარგბენისას.
ფოტო მ. ზარგარიანისა.

შავიკარავის ანგარიში ივ. 30-2
83.

პარტიისა და მთავრობის
დადგენილება —
მოქმედებაში!

პარტი ღონისძიება

ახლანა ტეკაიას განათლების
განყოფილებისა და სპორტკავშირის
თაოსნობით რაიონის ზოგადსაგან-
მანათლებლო სკოლებში ჩატარდა
სპორტული ბაზების კეთილმოწყო-
ბისა და მარტივი ტიპის მოედნების
შეწყობის ერთობლივი. ამ პე-
რიოდში რაიონის სკოლებში შეაკე-
თეს და კეთილმოაწყვეს ფრენბურ-
თის, კალათბურთის, ხელბურთის
მოედნები, ფეხბურთის მიწებები,
მაგილის ჩოგბურთის სათამაშო ად-
გილები, ტირები, გააკეთეს სარბე-
ნი ბილიარდები და სხვადასხვა
შეიძინეს სპორტინვენტარი.

განსაკუთრებით ისახელეს თავი
ქელო სენაის (დირექტორი ი. მი-
ქაძე, ფიზალბრდის მასწავლებელი
ა. ესებუა), ქალაქის მე-2 საშუალო
(დირექტორი ნ. გუგუნიანი, ფიზალ-
ბრდის მასწავლებელი ო. ჩიქობავა
და ო. ვეკუაძე), უშაფათის საშუა-
ლო (დირექტორი ი. გოგინაძე,
ფიზალბრდის მასწავლებელი გ. ლუ-
ღუჩავა) და სხვა სკოლებმა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ერთ-
თვითნებ ჩატარებას სრული პასუ-
ხისმგებლობით არ მოეციდნენ ნო-
სისის, ვეკუთის, კოტიანეთის, მენ-
ჯისა და ახალსოფლის სკოლებში.

ი. გუგუნიანი.
(ჩვენი კორ.)
ტეკაიას რაიონი.

გ უ შ ი ნ ...

გიუგუნიანი და ვ. სიძინავა
შედეგად მორიგი მატჩი სსრ კა-
ვშირის პირველობაზე „ა“ კლასის
I რგოლის გუნდებს შორის. ჩვენი
ქვეყნის წარმომადგენლებმა
ჩემპიონმა — ეივის „დინამო“-
თავის მიწებზე მიიღო გრეც-
ნის „არარატი“.

გათამაშავის ცხრილი

თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (ეივი)	31	21	9	1	61-12 51
„სპ“ (როსტოვი)	31	19	6	9	52-43 44
„ნაფთხანი“ (ბაქო)	33	16	8	9	51-27 40
სხვა	33	14	7	10	59-43 39
„ტორპედო“ (მოსკოვი)	31	14	8	9	48-32 36
„პაზტაკორი“ (ტაშკენტი)	32	10	16	6	33-27 33
„შახტორი“ (დონეცკი)	33	15	6	12	31-31 35
„დინამო“ (თბილისი)	32	12	11	9	40-29 35
„დინამო“ (მოსკოვი)	33	12	11	10	41-32 35
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	31	12	11	8	38-34 35
„პანრატნი“ (ალმა-ათა)	33	12	10	11	28-33 34
„დინამო“ (მიანსკი)	35	10	13	12	31-38 33
„პარბრატნი“ (ერევანი)	35	11	10	14	28-45 32
„ჩარნომორცი“ (ოდეხა)	34	9	12	13	27-35 30
„წმინტი“ (ლენინგრადი)	33	10	8	18	35-54 23
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	35	11	4	20	33-48 24
„არ. სოვეტოვი“ (კუბანში)	35	4	16	15	18-40 24
„ტორპედო“ (კუთაისი)	30	8	6	16	38-52 23
სპს (ოდეხა)	32	1	10	21	15-58 12

სურსკულ საი...

გათამაშავის ცხრილი
I რგოლის I ქვერგოვი
მდგომარეობა 10 ნოემბრისათვის.

თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მეზახა“ (ტყვარჩელი)	8	8	1	1	14-6 18
„მალაროლი“ (ვიაურა)	9	4	3	2	12-8 11
„ბახმარო“ (ჩოხატაური)	9	5	1	3	15-12 11
„ნარინჯი“ (ბათუმი)	8	4	2	2	7-6 10
„კომუნარნი“ (წალენჯიხა)	8	4	0	4	12-7 8
„მართლი“ (გორის რ-ნი)	7	3	2	2	7-8 8
„ლოკომოტივი“ (სამტრედია)	7	3	1	3	9-7 7
„ისანი“ (თბილისი)	8	3	1	4	11-14 7
„ოდიში“ (ზუგდიდი)	7	3	2	3	8-11 6
„ირისტონი“ (ცხინვალი)	7	1	3	3	19-11 5
„დინამო“ (კუთაისი)	8	2	1	5	14-17 5
სპს (თბილისი)	8	2	1	5	8-12 5
„დინამო“ I (თბილისი)	8	2	0	6	8-21 4

ზონეზონი გაამარჯვებული გუნდების ფინალური
გათამაშავის ცხრილი
მდგომარეობა 11 ნოემბრისათვის.

სიღნაღი	ბასკი	ალიგანი	აბალქალაქი
5	2	3	0
11	7	7	
5	2	3	0
8	4	7	
5	1	2	2
5	10	4	
5	0	2	3
2	3	2	3
2	3	2	
11	8	6	
4	3	1	0
11	4	7	
4	3	0	1
0	7	6	
4	1	2	1
9	10	4	
4	1	1	3
7	8	8	
4	0	0	4
4	11	0	

„ოგონიოკის“ კრიზი — ლ. იაშინს
მოსკოვი, 12 ნოემბერი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). ლ. იაშინსა და იმ-
სახურა უფრნალ „ოგონიოკის“ ყოველწლიური ტრადიციული კრიზი —
„სეზონის საუკეთესო მეკარეს“. ალანაშინაძე, რომ მოსკოვის „დინამო-
სა“ და სსრ კავშირის ნაკრების კარის საიმედო დარაჯმა ეს კრიზი მე-
სამედ დაიხაუტა.

ოლიგოპოლი თამაშები ოთხ წელიწადში ერთხელ ტარდება. თითქოს დიდი დროა, მაგრამ ერთ მსოფლიო დღესასწაულს რომ მოილევნ, სპორტსმენები მაშინვე იწყებენ მზადებას მომავალი ოლიმპიური თამაშებისთვის, სახავენ ახალ სარეკორდო ზღვრებს, მომავალი ბრძოლების პირობების შესაბამისად ადგენენ წვრთნის გეგმას. მორიგი ოლიმპი-

ადის ორგანიზატორებს ხომ თავზე საყრელი აქვთ საქმე. რა კეთდება ახლა მსხვილსა და გრუნობში, ქალაქებში, სადაც 1968 წელს ზაფხულისა და ზამთრის ოლიმპიადები უნდა ჩატარდეს? რას ლაპარაკობენ ახალ ოლიმპიურ რეკორდებსა და თავიანთ წვრთნის შესახებ სპორტის ვარსკვლავები? აი, ამას ვაპყრობინებენ საქლესის კორესპონდენტები.

ცემენტი. ახალი ნაგებობა საინჟინროდ იქნება მზად. სტადიონს გაუკეთდება საფარი ფოლადისა და ალუმინისგან. ტუიკოს ოლიმპიადის ორგანიზატორებს მხოლოდ ერთი შეიძლება შეეძლება. ეს გასლდათ არც ისე სანამოყენი საცხოფრებელი პირობები თამაშების მონაწილეთა, განსაკუთრებით, სპორტსმენი ქალებისთვის. ითახებში

საინტერესოა, რომ უმეტეს სამუშაოებს უკვე წინასწარ გაყიდული ბილეთების შემოსავლით აფინანსებენ. მაგალითად, „სტადიონს“ სტადიონს 3 საფეხურით კლუბი ფლობს. კლუბების ხელმძღვანელებმა უკვე მიჰყიდეს კერძო პირებს ადგილები ლოჯებში და ტრიბუნებში. პირველი შესატანი გაილეს მსხვილმა საქმისნებმა, მაგალითად, მექსიკის ტელევიზიის მეფემ ფილიპო ასკარაგამ. მათ სურათ, რომ დახარჯულ თანხას მალე ამოიგებენ და არა თუ ამოიგებენ, ხელსაც მოითხოვენ. დიახ, საქმისანი ყველგან საქმისანია.

მეზიკოლ ზარკაფლები

მომავალი ოლიმპიადის დედაქალაქი დიდი გაწმარადა. მან ხომ უამრავი სტუმარი უნდა მიიღოს 1968 წელს. ბევრი რამ უკვე გაკეთდა, უფრო მეტი გასაკეთებელია. ამას წინათ მეზიკოში ჩავიდნენ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელები, რომელთაც ოლიმპიადის ორგანიზატორებმა დაწვრილებითი მოსწინება წარუდგინეს. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ე. ბრენდეჯმა საერთო აზრი გამოთქვა: „დარწმუნებული ვართ, მექსიკის ოლიმპიური ასპარეზობა ტრინომუთი დამთავრდება. ამასთან, მჯერა, რომ მექ-

სიკელები თამაშებს თავისებურად გამართავენ, არც რომს წაბაძენ და არც ტუიკოს“. ოლიმპიადის გაისხნება საუნივერსიტეტო ქალაქის სტადიონზე, რომლის ტრიბუნებზე 105 ათასი მაყურებელი თავსდება. ორგანიზატორთა აზრით, ასეთი დიდი ასპარეზობისთვის ეს არ კმარა და ახლა სტადიონს აფართოებენ. რეკონსტრუქციის შემდეგ მისი ტრიბუნები 130 ათას კაცს დაიტევს.

სივიროფე იყო. მექსიკელებმა განაცხადეს, რომ ამას გაითვალისწინებენ. ოლიმპიური სოფელი, რომელიც დაახლოებით 40 ჰექტარზეა გადაჭიმული, 100 ათასი სპორტსმენისთვისაა დაგეგმილი. თითო ოთახში 3-3 კაცი იცხოვრებს. სპორტსმენების განარგულეებაში იქნება საკუთარი თეატრი, კინოთეატრი, კლუბი და აბანოებიც კი. განზრახულია აქვე აშენდეს პრესის სახლი.

ოლიმპიადის დღეებში მეზიკოს ტურისტთა მთელი არმიამ მიაწყდება. ჯერჯერობით ქალაქის 705 სასტუმროს შეუძლია დაიტოს მხოლოდ 50 ათასამდე კაცი. ვარაუდობენ, რომ 1968 წლისთვის ეს რიცხვი 25-35 ათასით გაიზარდება. ა. კოვლოვი.

ნატემა ამ ფრტს?

მეზიკოს ოლიმპიადის 12-27 ოქტომბერს გაიმართება. სპეციალისტები ფიქრობენ, რომ შეჯიბრების ჩატარებისთვის ეს ყველაზე შესაფერისი დროა. ხვეულბრიც, წვიმები მისში იწყება და სექტემბრის ბოლოს წყდება. სწორედ ამ დროისთვის მცირდება ჰაერის სინოტივეც. ამ ბოლო 7 წლის განმავლობაში ოქტომბრის საშუალო ტემპერატურა მეზიკოში +15,5 გრადუსი იყო. ყოველდღიური მაქსიმალური ტემპერატურა +21,1, ხოლო მინიმალური +10 გრადუსია. ეს იმას ნიშნავს, რომ დღისით თერმომეტრი თითქმის 30 გრადუსამდე აიწვეს დილითა და საღამოობით კი შეიძლება აციედეს და ქარიც ამოვარდეს.



მულს ნუ გაპიტხმთ

ოლიმპიურ სპორტის მოღვაწეებმა და მწვრთნელებმა, რომლებიც მეზიკოს „საერთაშორისო ოლიმპიური კვირეულიდან“ დაბრუნდნენ, ჟურნალისტებს განუცხადეს: იან მულიაკი აკლიმატიზაციის პრობლემებზე, ჩემი აზრით, მეტისმეტი ხმაური ატყდა. კარგად მომზადებული სპორტსმენები არ გვიღალატებენ. სტადიონზე არ ვლაპარაკობ. მათი საკითხი არც ისე იოლი გადასატრელია. მანრიკ ლანაკი გზატკეცილზე ველომობოლებმა წინასწარ 18-20 დღე უნდა დაჰყონ მეზიკოს პირობებში. საქმე არც ისე ცუდაა. მექსიკის ველომობოლები სომ ქოლანდელები და ესპანელები, ე. ი. ვერობელები ლიდერობდნენ. ფაფიძის ზტამი როგორც ქუხს, ისე არ წვიმს... ფიქრობ, მოკრივეებისთვის მექსიკის ჰავა არ უნდა იქცეს საგანგებო პირობად. მე ოპტიმისტი ვარ.

სტუეარი ღვთისა...

თქვა მექსიკაში ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა კაცმა, 1968 წლის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტმა; 47 წლის არქიტექტორმა რამირეს ვასკესმა. მისი მონაწილეობით აიგო უდიდესი საკონცერტო დარბაზი, რომელიც 17 ათას კაცს იტევს, 3 მუზეუმი (მათ შორის უდიდესია ანთროპოლოგიური მუზეუმი) და 35 ათასამდე სკოლა. ვასკესმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა: ჩვენ გაგაკეთებთ ყველაფერს, რაც თავს ვიდეთ. ამისთვის კიდევ ორი წელი გვჭირდება. და როგორც მოგესწინებათ, ოლიმპიური თამაშებამდე უსტად 2 წელიდა დარჩა. მთავარია, შეჯიბრებები რაც შეიძლება უკეთ ჩატარდეს. ვეცდებით გავითვალისწინოთ ასპარეზობის მონაწილეთა ერთგულნი ჩვევები; თუშე, იგი ყოველ ქვეყანაში სხვადასხვაა. პატებს ვცემთ სახელმწიფოთა თვითგამორკვევას და ამიტომ ყველა სპორტსმენი ერთნაირად სასურველი სტუმარი იქნება ჩვეთვის.

10 ფაფი ბეფტრია

ოლიმპიური ცნობილია, 6 წლის წინ ციურიში არმინ ჰარნი დაამყარა მსოფლიო რეკორდი 100 მეტრზე რბენაში — უსტად 10 წამი. შემდეგ ეს რეკორდი გაიმყარა ოთხმა სპორტსმენმა: ჰარი ჯეფრისმა (კანადა), ორასო ესტევესმა (ვენესუელა), რომერტ ბაიესმა (აშშ) და ჩენ ჩი-ჩუანმა (ჩინეთი). ახლა ბევრი სპეციალისტი ამტკიცებს, რომ მეზიკოს ოლიმპიურ თამაშებში საუკეთესო შედეგი 100 მეტრზე რბენაში იქნება 9,7-9,8 წამი. რა აზრისაა თავად არმინ ჰარნი? ბი, რა უპასუხა მსოფლიო რეკორდსმენმა დასავლეთგერმანული ჟურნალის „იკერის“ კორესპონდენტს. — როგორ ფიქრობთ, როდის გაუმჯობესდება თქვენი მსოფლიო რეკორდი? — მართალი გითხრათ, მეფონა, რომ ეს ტუიკოს ოლიმპიურ თამაშებში მოხდებოდა, მაგრამ, როგორც გამოირკვა, ახალი რეკორდის დამყარება 100 მეტრზე რბენაში გაცილებით ძნელია, ვიდრე სტადიონზე დისტანციებზე. სპრინტში გამარჯვებას ხომ ყველაზე კარგი პირობები და არაჩვეულებ-

რაც შეიძლება მაღლა

ესპალიონ უძლიერესმა სტადიონმა, აესტრალიელმა რომ კლარკმა უკვე გადაწყვიტა, როგორ მოეწყოს მეზიკოს მალაქითინი ოლიმპიადისთვის. იგი მოელაპარაკა ფრანგული სპორტის ხელმძღვანელებს და აპირებს ფრანგ მორბენლებთან ერთად ივარჯიშოს მალაქითინა ბანაკ „ფონტ-როშიში“, ესპანეთის საზღვართან. ფონტ-როში უდიდეს დონიდან ცოტა უფრო მაღლა მდებარეობს, ვიდრე მექსიკის დედაქალაქის ოლიმპიური სტადიონი. კლარკი, ალბათ, ოლიმპიადის გასხანდე ერთი თვით ადრე დაწყებს ვარჯიშს.


ოლიგოპოლი რგოლუბი ბრანსოლზე

ის, ვინმე თუნდაც ამ გასაფხულს იყო გრუნობში, ახლა აქ ბევრ სიბრტეს ნახავს. სამი მხრით ალპებში შემოზღუდული ძველებური წყნარი ქალაქი დამწვენიდა ახალი შემოებნიად და მთელი არქიტექტურული ანსამბლებით. ყოველ ნაბიჯზე შესვლებით ფარებს 5 ოლიმპიური რგოლით. ეს კიდევ ერთხელ მოგაფრთხობს, რომ აქ ჩატარდება ზამთრის X ოლიმპიური თამაშები. საღამოს კი, ბინდი რომ ჩამოვყვება, ოლიმპიური რგოლები კაგაპა ალით იხიება „პოლიმისტრალის“ შესასვლელთან, სადაც წლინახევრის შემდეგ

„თეთრი ოლიმპიადის“ შტაბი უნდა განლაგდეს. გრუნობის ოლიმპიური ისტორია კარგა ხნის წინათ დაიწყო. 1961 წლის ბოლოს ენთუზიასტთა ჯგუფმა ქალაქის მერის ხელმძღვანელობით შექმნა კომიტეტი, რომელმაც გრუნობლი ზამთრის ოლიმპიური თამაშების დედაქალაქად წამოაყენა. გავიდა 2 წელი. საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა კენჭისყრის მესამე ტურის შემდეგ არჩევანი გრუნობლზე შეაჩერა. 2 წელი დასჭირდა გეგმებისა და პროექტების შედგენას. ახლა კი გამალებით აშენებენ ოლი-

მპიურ სოფელს, ახალ სპორტულ ნაგებობებს — 2 ტრამპლინის, ზამთრის სტადიონის, სადაც პოკეისტთა შეჯიბრებები უნდა ჩატარდეს, ბობსლეის ბილიკებს, სტადიონს ფიგურისტებისა და მოციგურებისთვის. თანამედროვე, ნათელი და ფართო ზამთრის სასახლე 15 ათას კაცს დაიტევს. საციგურო სტადიონი 13 ათასი მაყურებლისთვისაა გათვალისწინებული, 80 ათას კაცს შეუძლია თვითად ადგენოს მოთხილამურეთა სტამბის 90-მეტრიანი ტრამპლინიდან სენ-ნიზიეში. ოლიმპიური სოფელი რომ მა-

რთლაც დაეგვიანოს რაიმეთი სოფელს, მთავარია არქიტექტორმა ბერნარმა გადაწყვიტა 15-სართულიანი თანამედროვე ნაგებობებს შეუნარჩუნოს ძველი ფორმა და სამშენებლოდ წითელ აგურს იყენებს. მაგრამ ოლიმპიური სოფელი მხოლოდ 1500 კაცს დაიტევს. ქალაქის სასტუმროები კი დაახლოებით 2000-ადგილიანია. ტური-სტებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ეს, რასაკვირველია, არ კმარა გრუნობლი ჩამოსული ყველა სპორტსმენისა და ჟურნალისტის დასაბინავებლად. გადააკეთდება ასლო-მისლო ქალაქების სასტუმროები. ჟურნალისტებისთვის (2000-მდე პრესის მუშაკს მოელოან) შენდება პრეს-ცენტრი, რომელიც ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით მოწყობილია.



მომავალი ზამთრის ოლიმპიადის ცენტრის მშენებლობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ზამთრის სასახლეს. ეს უაღრესად საინტერესო არქიტექტურული ნაგებობა 15 ათას მაყურებელს დაიტევს. სასახლე შენდება მისტრალის პარკში, ქალაქის სტადიონსა და აშუამად არსებულ იმ საციგურო დარბაზს შორის, რომელშიც ზარზანწინ ფიგურულ სრიალში ევროპის ჩემპიონატი ჩატარდა. ცენტრალური სარბილის გარდა, ამ კომპლექსში იქნება ჰოკეისა და ფიგურულ სრიალში სავარჯიშო მოედნები, პრესისა და რადიო-ტელევიზიის ოთახები. შინაგანი გასასვლელებით მაყურებელი დაუკავშირდება კაფე-რესტორნებს.



სურათზე: მოსკოვის ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის რეგისტრაციის კოლეგია, რომელმაც თბილისში ამას წინათ გამართულ I საკავშირო შეჯიბრებაში გამარჯვება მოიპოვა. ფოტო ბ. ქვათაძისა.

წლისის პრემიერ-მინისტრმა ვილსონმა დიდი ბრიტანეთის ფეხბურთის ფედერაციებს წინადადება მისცა ჩამოაყალიბონ ერთიანი ლიგა, რომელიც თავის ჩემპიონატს მოაწივებს. ამ ლიგაში, პრემიერის

პრემიერის წინადადებით, უნდა გაერთიანდნენ ინგლისის, შოტლანდიის, ჩრდილოეთ ირლანდიისა და უელსის მოწინავე კლუბები. ამას გარდა, ჩვეუ-

ლებრივ ჩატარდება ინგლისის, ჩრდილოეთ ირლანდიისა და შოტლანდიის პირველობებიც (უელსი ჩემპიონატს არ ატარებს). ამ წინადადების აზრია მეტი გასაქანი მიეცეს ოთხხე ბრიტანულ ნაკრებ გუნდს.

საქი საქები

მოსკოვი, 11 ნოემბერი. 19 საორტსმენი ჩაება სსრ კავშირის XII ჩემპიონატის ვინაილურ ტურნირში 100-ურაიან შაშხი. მსოფლიოს ჩემპიონ კუბერმანს (ცივეი) მონაწილეობა რომ მიეღო; ეს შეჯიბრება უძლიერესი იქნებოდა საკავშირო პირველობათა ისტორიაში. I ტურში კიველმა კალანამა მიუგო ხარკოველ სლობოდსკოის, ხოლო გამარჯვებულის თანაქალაქელმა ცივემაც —

მოსკოველ ვალკინს. ყამით დამთავრა შადელ (მინსკი) — კორხოვის (ოდესა), სრეტენსკი (კალინინი) — ავაფონოვის (მოსკოვი), შკიტკინ (მოსკოვი) — მანშინის (ლენინგრადი), ბაბაიან (ბაქი) — მსოფლიოს ექს-ჩემპიონის, საერთაშორისო დიდოსტატ შნოგოლის (მოსკოვი), განტარევი (მინსკი) — სსრ კავშირის ჩემპიონის, საერთაშორისო დიდოსტატ ანდრეივს (რიგა), კონტროლარსკი (დონეცი) — ფანბერგის (მინსკი), კოვოიკინ (ხარკოვი) — მერკინის (ლენინგრადი) პარტნიები. რანაშხი, 11 ნოემბერი. ბირმაში თავიანთ ტურნეს პირველი მატჩი გამართეს ლენინგრადის „ზენიტის“ ფეხბურთელებმა. ისინი შეხვდნენ ქვეყნის ეროვნულ ნაკრებს. თამაში დამთავრდა ფრედ — 0:0.

იგი მიხვდა, რომ ამ ვარიანტში, გაზაფხულის ამ მუკანე საღამოს, მხოლოდ ჭაბუკური მითები არ უშვლის. ყოველივე ეს სწორია: ამქვეყნად დაუნებებელი სათო სულელები — იუგა ბილი, კოგბოი პარი, ტურფა მერი და ნელი, და ბრიგანტინა აფრებს შლის, მაგრამ მაინც დეგა მომენტი, როცა გრანობთ „სა“ უკრაზე შავი მხედრის საშიშ და რეალურ სიხალფეს წინ იყო ბრძოლა, რთული, დასჭვილი, წარმატაცი, გაანგარიშებული. წინ მიუღლი ცხოვრება იყო. დიდოსტატმა პაიკი მოიგო, მერე ცხვირ-სასიცი გაშალა და ცხვირი მოიხოცა. სულ მარტოობაში გაწვლილმა ამ რამდენიმე წამმა, როცა ცხვირი და ტუჩები ცხვირ-სასიციდან დაფარული, ბანაკი, ფილსოფიურ გუნებაზე დააყენა „აი, ასე მიადევნე რამე, მაგრამ რა გამოვიდა? — ფიქრობდა იგი. — მთელი ცხოვრება რაღაცისთვის იბრძვი; გაიმარჯვებ და სიხარულს შედარ გრძნობ. აი, მაგალითად, არის ქალაქი პონკონგი, შორეული, მეტად იდუმალი, მე კი იქ ვყოფილვარ. მე უკვე ყველგან ვარ ნამყიფი“.

სიყვარულის მშფოთვარე საზაფხული ზეიმი „სა“ უკრაზე ახარება და ამავე დროს ალღელებდა კიდევ დიდოსტატს. იგი გრძობდა, რომ მალე ცენტრში თავს მოყრიდნენ გარეგნულად ლოგიკური, შინაგანად აბსურდული ძალები. კვლავ ატყდებოდა კაიფობინა და დატრიალდებოდა ქლორის სუნი, როგორც წყული მესხიერების იმ შორეულ ტალახებში, მარტენა ფლანგზე. — რა საინტერესოა, რატომბა ყველა მოჭადრაკე ებრაელი? — იკითხა ბ. ო.-მ. — რატომ ყველა? — თქვა დიდოსტატმა. — მე, მაგალითად, ებრაელი არა ვარ. — მართლა? — გაკვირდა ბ. ო.-ს და მაშინვე დაძინა: — თონდ, არ იფიქროთ, რომ ეს განზრახ ვიქვი. ამ

ბული ყვავივით ჩხაოდა ცენტრში, ყვავივითი სიყვარული, ამას გარდა, მეზობლებთან კალის ტაფას ხეხავდნენ დაანი. არაფერი არ ადასტურებდა ისე უხადად ცხოვრების უაზრობასა და მოჩვენებითობას, როგორც ცენტრში შექმნილი პოზიცია. დრო დამთავრდეს თამაში. „არა, — გაიფიქრა დიდოსტატმა, — ხომ არის კიდევ რაღაც“. მან დადგა დიდი ბოზინი ბაზის საფორტეპიანო პიესებით. სუფთა და ერთფეროვანმა, ტალღების ხმაურივით ჟღერდა ბგერებმა გული დაუშვინდეს. შემდეგ იგი უსოდან გავიდა და ზღვისკენ გასწია. ზვეით ფიქვები შრიალდებნენ, შიშველი ფეხები კი სრიალა წიწვიან ლიპს ეხებოდნენ. დიდოსტატმა ზღვა გაიხსენა, მას მი-

დოსტატმა, თან გ. ო.-ს ვარდისფერ, ბრტყელ შუბლს შესყვინდა. — მე მოგცემთ დამაჯერებელ საბუთს. ვიცოდი, რომ შეგებდებოდათ. მან პორტფელი გახსნა და იქიდან ხელისკულისოდან ოქროს ექტონი ამოიღო. ექტონზე ლამაზად იყო ამოკვეთილი: „ამის წარმომადგენელმა მოთიგე ჭადრაკის პარტია. დიდოსტატი ესა და ეს“. — დათარღებდა აკლია, — თქვა დიდოსტატმა, პორტფელიდან საგრაირო ხელსაწყოები ამოალაგა და ექტონის კუთხეში ლამაზად ამოკვეთა თარიღი. — ბავალო ოქროს, — თქვა მან და გ. ო.-ს ექტონი გაუწოდა. — მართალს შეგუბნებთ? — ჰკითხა გ. ო.-მ. — წმინდა ბავალოა. — მიუგო დიდოსტატმა. — უკვე ხვერი ასეთი ექტონი შეგუკვეთე და მარაგს კვლავც მუდამ შეგავსებ. თარგმანი გ. კაკაბაძისა.

3. აქსიომა

კამარჯვება

მოთხრობა ბავკიალებზე

მხრივ მე არავითარი ცრურწმენა არ გამაჩნია. უბრალოდ, საინტერესოა. — აი, თქვენ, მაგალითად, — თქვა დიდოსტატმა, — თქვენ ხომ ებრაელი არა ხართ? — მე, აბა, რა სახენებელი ვარ! — წაიბურტუტა გ. ო.-მ და ისევ თავის იდუმალ გვეგებს მიეცა. „თუ მე ისე წავალ, ის ასე წავა, — ფიქრობდა გ. ო. — თუ მე აქ ავიყვან, ის იქ ავიყვან. შემდეგ მე აქეთ გადმოვალ, ის ასე მიპასუხებს... სულ ერთია, მაინც გაგებენ, მაინც მოუვლებ ბოლოს. დიდი ამავეი, ყველა ისევე დიდოსტატები არიან კარტის ჩაწყობაში. ჩემთან მაინც არაფერი გაუვა. ვიცი მე თქვენი ჩემპიონატები: მოლოპარაკებთ ხოლმე წინასწარ. შენ მაინც გაგარეს, სისლს გადვენ ცხვირიდან!“ — კო-ო, ხარისხი კი დავკარგე. — უთხრა მან დიდოსტატს. — მაგრამ მე არაფერი, ვერ ადრეა. ასლა გ. ო.-მ ცენტრში დაიწყო შეტევა, და, რასაკვირველია, ცენტრი მაშინვე უაზრო და საზინული იერიშის ასპარეზად იქცა. ეს არც სიყვარული იყო, არც შეხვედრა, არც იმედი, არც მოკიხვა, არც სიცოცხლე. ეს იყო მხოლოდ გრიპოზული ჟრჭოლა და ისევ ყვითელი თოვლი, თმისშემდგომი აფორიაქებული ცხოვრება, მთელი ტანი რომ გეჭაბებდა. შავი ლაზირი შეყავრ-

ლი კაცი იდგა, სადილები ვესვლის ელვებით ქონდა მოქარული და დიდოსტატს უცდიდა. ნაიჯი — ნაიჯარი წამი, კიდევ ნაიჯი — წამი, კიდევ ერთი ნაიჯი — ერთნაიჯარი, ორი წამი... კიბე მალდა ადის. რატომ მალდა? ასეთი რამ ჯობს ორმოში კეთდებოდეს. გაეცი უნდა იყო. ეს აუცილებელია? რამდენი ხანი სჭირდება ჭილის აყროლებული ტომის თავზე ჩამოქმს? ამრიგად, სიბნელე ჩამოწვა, სუნთქვა გაძნელდა, მხოლოდ სადილა, ძალიან შორს, ორკვანძი მხიარულად უკრავდა „სასაბულატს“. — შამათი! — სპილენძის საყვირით წამოთხა გ. ო.-მ. — აი, ხომ ხედავთ, — ჩაილულულა დიდოსტატმა. — მომილოცავს! — ოჰ, — თქვა გ. ო.-მ. — უჰ, უჰ, მთლად გავიქაფე, პირდაპირ დაუჯერებელია, უკეთესი არ შეიძლება, ვეშაქმა დალაპეროს! წარმოიდგენიათ? დიდოსტატს შამათი გავუკეთე! წარმოუდგენელია, მაგრამ ფაქტია! — გადაიხარა მან. — ეს ვინა ვყოფილვარ, — აღურბინა და გადისვა თავზე ხელი. — ჩემო დიდოსტატო, — აბუილდა იგი და ხელები მეგობრულად დააწყო დიდოსტატს მხრებზე. — ჩემო კარგი ახალგაზრდავ, ნერვებმა გიდალატეს, ხომ? გამოტყდით! — დახს. დახს, მართლაც ჩაკვლავდი, — ნაქარეუად დაუდასტურა დიდოსტატმა. გ. ო.-მ ლაღი ექსტით მოხვიტა ფიგურები. დაფა ძველი იყო, ხორცილიანი, ალაგ-ალაგ პრიალა ფენა ასმობოდა და ყვითელი, ტანჯული მერქანი გამომჟებოდა. აქა-იქ ლაქები აჩნდა, ჩაის ჭიქების უსიოვარი დროიდან შემორჩენილი ნაკვალავი. დიდოსტატი უშურდა ცარიელ დაფას, სამოცდათხმ სრულიად გულგრილ უკრას, რომელთაც შეეძლოთ დატრიათ არა თუ მხოლოდ მისი, უთვალავი სხვა ადამიანის ცხოვრებაც. ამ წითელი და ბნელი უკრების დაუსრულებელმა მონაცვლეობამ გული ერთგვარად მოწიწებოდა და წინარი სიხარულით აუგის. აგონებ, ჩემს უსივრებაში არავითარი დღი უნამუსობა არ ჩამიდინია! — გაიფიქრა მან. — მოყვებოდით სადმე ამ ამბავს, მაგრამ ღინ დავიჯერებს, — ამოიხარა შეწუხებულმა გ. ო.-მ. — რატომ არ დავიჯერებთ? რა არის აქ დაუჯერებელი? თქვენ ძლიერი, მტკიცე ნებისყოფის მოთამაშე ბრძანდებით, — თქვა დიდოსტატმა. — არავინ დაიჯერებს, — გაიმეორა გ. ო.-მ. — იტყვიან, რაღაცა ჩმახავსო. რით დაფაშტყვიებ ჩემს სიმათლეს? — უკაცრავად, — ოდნავ იწყინა დი-